ტრენინგი: საჯარო პოლიტიკის ანალიზი, დაგეგმვა და კოორდინაცია

პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“

კურსის აღწერა

იანვარი, 2020

შინაარსი

კურსის მხარდაჭერა 2
კურსის მიზანი და შედეგები 2
კურსის სტრუქტურა, შინაარსი 2
ტრენერები, ტრენინგის მონაწილეები 4
ტრენინგის მასალები 4
ტრენინგის განრიგი, ხანგრძლივობა 5
დასწრება 5
კურსის შეფასება 5
დანართები 7
- დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა 7
- დანართი 2 - კურსის განრიგი 20

კურსის მხარდაჭერა

ტრენინგ კურსი „საჯარო პოლიტიკის ანალიზი, დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება“ შემუშავებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განახლებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილება), ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია GEC-ის, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის და ბრიტანული ორგანიზაციის, Public Administration International-ის მიერ, მიმდინარე პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

კურსის მიზანი და შედეგები

კურსის მიზანია, მონაწილეებმა მიიღონ ცოდნა პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპების, მეთოდების და პროცედურების შესახებ, ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გარდა თეორიული სწავლებისა, კურსზე ასევე მოხდება მონაწილეთა პრაქტიკული უნარების განვითარება ქეისების ანალიზისა და ჯგუფური დავალებებით გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალებით. მიღებული ცოდნა და გამოცდილება საჯარო პოლიტიკის ერთეულების თანამშრომლებს დაეხმარება ყოველდღიური სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებაში.

კურსის გავლის შემდეგ მონაწილეებს ექნებათ:

- ცოდნა პოლიტიკის შემუშავების მთლიანი ციკლისა და თითოეული ეტაპის განხორციელების შესახებ;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

კურსის მიზნებისა და შედეგების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა.**

კურსის სტრუქტურა, შინაარსი

კურსის ფარგლებში თითოეული ჯგუფისთვის ჩატარდება 13 შეხვედრა, ამასთან 12 შეხვედრა („მოდული“) დაეთმობა კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო მე-13 შეხვედრაზე ჩატარდება დასკვნითი გამოცდა. გარდა ამისა, კურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ, კურსის პარალელურად, ტრენერისგან დამოუკიდებლად მოამზადონ პოლიტიკის დოკუმენტი წინასწარ შერჩეულ საკითხზე.

კურსის თემატიკა

1-12 მოდულების ფარგლებში ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მოდული 1 - პოლიტიკის შემუშავების პროცესი, სტრატეგიული დაგეგმვა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- მოდული 2 - სიტუაციის ანალიზი;
- მოდული 3 - მტკიცებულების სახეები და მონაცემთა წყაროები;
- მოდული 4 - ლოგიკური ჩარჩო და ცვლილებების ანალიზის თეორია;
- მოდული 5 - ინდიკატორების დადგენა;
- მოდული 6 - პოლიტიკის ვარიანტების განსაზღვრა;
- მოდული 7 - პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პრაქტიკუმი;
- მოდული 8 - პოლიტიკის გავლენის შეფასება (წინასწარი - Ex-Ante) და ეკონომიკური შეფასება;
- მოდული 9 - სამოქმედო გეგმის შედგენა;
- მოდული 10 - ბიუჯეტის დაგეგმვა;
- მოდული 11 - მონიტორინგი და მონაცემთა მართვა;
- მოდული 12 - პოლიტიკის შეფასება (შემდგომი - Ex-Post).

კურსის თემატიკის დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა.**

მოდულებზე, გარდა თეორიული ინფორმაციის მიწოდებისა, გამოყენებული იქნება ქეისები და ჯგუფური აქტივობები, რომელთა მიზანია მონაწილეთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება.

პოლიტიკის დოკუმენტი

მონაწილეებს ტრენინგის დაწყებისას მიეცემათ დავალება, რომ ტრენინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით, წინასწარ შერჩეულ საკითხზე გუნდურად მოამზადონ პოლიტიკის დოკუმენტი. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფები დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა უწყების თანამშრომლებისაგან, თითოეულმა მონაწილემ ტრენინგის დაწყებამდე საჭიროა, წარადგინოს მისთვის სასურველი საკითხი. ტრენინგის დაწყებისას მოხდება ჯგუფის დაყოფა პოლიტიკის დოკუმენტზე სამუშაო გუნდებად (5-6 მონაწილე თითოეულ გუნდში), განხორციელდება საკითხების გადარჩევა და თითოეული გუნდის მიერ შეირჩევა ერთი კონკრეტული საკითხი პოლიტიკის დოკუმენტის მოსამზადებლად. დოკუმენტის მომზადება ხდება მთლიანი კურსის მსვლელობის პარალელურად, ტრენერის პერიოდული უკუკავშირით. ცალკეული მოდულების დროს, განვლილი მასალის კვალდაკვალ, გუნდები შეასრულებენ საკუთარ თემასთან დაკავშირებულ (თემატურ) ჯგუფურ სავარჯიშოებს, რაც მათ დაეხმარებათ პოლიტიკის დოკუმენტის ეტაპობრივ შემუშავებაში. დოკუმენტზე მუშაობა

უნდა დასრულდეს კურსის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. მომზადებული დოკუმენტი შეფასდება ტრენერის მიერ.

ტრენერები, ტრენინგის მონაწილეები

ტრენერები

სატრენინგო პროგრამა შემუშავებულია ბრიტანელი და სლოვაკი ექსპერტების - ფილიპ დეივისისა და კატარინა სტარონოვას მიერ, ქართული გამოცდილების გათვალისწინებით და მას წარმართავენ ქართველი ტრენერები, რომლებმაც შესაბამისი კონსულტაციები გაიარეს კურსის შემმუშავებლებთან. ტრენინგს ჯგუფების მიხედვით წარუძღვებიან: ნანი მაჭარაშვილი და ნოდარ ტანგიაშვილი.

ტრენინგებს, ადგილობრივ ტრენერთან ერთად, ასევე წარუძღვებიან თანა-ტრენერი საჯარო მოხელეებიც, რომლებმაც წინა ნაკადში გაიარეს ეს კურსი და მოდულის თემატიკის შესაბამისად აქვთ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება.

ტრენინგის მონაწილეები

ტრენინგისთვის შერჩეულია 50 მოხელე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან. კანდიდატები გადანაწილებულნი არიან 2 ჯგუფში.

ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალები ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც მონაწილეებისთვის იქნება გაზიარებული. სასწავლო მასალები პლატფორმაზე მოცემულია pdf ფორმატში, შესაბამისად, მონაწილეებს საშუალება აქვთ, გადმოწერონ პერსონალურ კომპიუტერში ან მობილურ ტელეფონში.

მასალები მოიცავს:

1. პრეზენტაციებს;
2. ძირითად საკითხავ მასალებს;
3. პრაქტიკულ სავარჯიშოებს და ქეისებს;
4. დამატებით საკითხავ მასალებს (ინგლისურ ენაზე);

კურსის ეფექტურობისათვის, სასურველია, რომ კანდიდატები ყოველი მოდულის დაწყებამდე გაეცნონ ძირითად საკითხავ მასალებს, რათა ტრენინგის დაწყებამდე ყველა მონაწილეს ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ტრენინგზე განსახილველ საკითხებზე.

ტრენინგის განრიგი, ხანგრძლივობა

ტრენინგი დაიწყება 11 თებერვალს და დასრულდება 26 მარტს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 2 - კურსის განრიგი).**

ტრენინგის თითოეული მოდულისთვის განკუთვნილია 3 საათი, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - 2 საათი. შესაბამისად, კურსის ჯამური ხანგრძლივობა შეადგენს 38 საათს.

კურსის ფარგლებში თითოეული შეხვედრა (გარდა დასკვნითი გამოცდისა) ორგანიზებულია შემდეგნაირად:

I სესია	-	1სთ და 20წთ
შესვენება	-	20წთ
II სესია	-	1სთ და 20წთ

დასწრება

კურსი მოიცავს 12 სატრენინგო მოდულს. ყველა მოდულზე დასწრება არის აუცილებელი. მხოლოდ გამოუვალ შემთხვევაში ჩაითვლება გაცდენა საპატიოდ (ორგანიზატორისა და ტრენერის წინასწარ შეტყობინების საფუძველზე). საბოლოო გამოცდის დაწერას (რაც სერტიფიკატის მიღების წინაპირობაა) შეძლებენ მხოლოდ ის მონაწილეები ვისაც აქვთ მაქსიმუმ 3 გაცდენა.

კურსის შეფასება

მოდულები

კურსის დასასრულს ჩატარდება დასკვნითი გამოცდა (ტესტი), რომლითაც შეფასდება მონაწილეთა ცოდნა 1-12 მოდულების ფარგლებში განხილულ საკითხებზე.

- ტესტის შევსება მოხდება მატერიალური ფორმით;
- ტესტი შედგება 20 კითხვისაგან, რამდენიმე არჩევითი პასუხით;
- თითოეული კითხვის სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით;

შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი

გუნდების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი შეფასდება ტრენერების მიერ, ტრენინგის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და ანალიტიკური უნარის გამოყენების ხარისხის მიხედვით. დოკუმენტი შეფასდება 1-10 ქულით და დაემატება საბოლოო ტესტის ქულას.

საბოლოო შეფასება

საბოლოო ტესტის ქულისა და პოლიტიკის დოკუმენტის შეფასების მიხედვით, მონაწილეებს გადაეცემათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სერტიფიკატის ხარისხი საბოლოო შეფასების მაქსიმალური 30 ქულიდან განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 26-30 ქულის მიღების შემთხვევაში მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი აღნიშვნით **„წარჩინებით დაასრულა კურსი“,**
- 21-25 ქულის მიღების შემთხვევაში - სერტიფიკატი აღნიშვნით **„წარმატებით დაასრულა კურსი“,**
- 16-20 ქულის მიღების შემთხვევაში - სერტიფიკატი აღნიშვნით **„დაასრულა კურსი“,**

16 ქულაზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში მონაწილე ვერ მიიღებს სერტიფიკატს.

სერტიფიკატი გაიცემა მას შემდეგ, რაც მონაწილე შეასრულებს ტესტს და გუნდის მიერ მომზადდება პოლიტიკის დოკუმენტი.

გისურვებთ წარმატებას!

დანართები

დანართი 1 - ტრენინგის სასწავლო გეგმა

	მოდულის შინაარსი	**მოდულის მიზნები**	**მოდულის შედეგები**	**ხანგრძლივობა**
მოდული 1	**პოლიტიკის შემუშავების პროცესი და სტრატეგიული დაგეგმვა** ▪ რა არის სტრატეგია ? ▪ რა არის პოლიტიკა ? ▪ სტრატეგიული დაგეგმვა ▪ ეფექტური პოლიტიკის შემუშავების პირობები ▪ საჯარო პოლიტიკის ციკლი ▪ საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა ▪ პოლიტიკის დოკუმენტების იერარქია საქართველოში ▪ პოლიტიკის დოკუმენტი - კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ▪ პოლიტიკის შემუშავების საკანონმდებლო ასპექტები ▪ რატომ არის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა მნიშვნელოვანი? ▪ მთავრობის შეცდომები ▪ 7 ფაქტორი, რომელზეც პოლიტიკის წარმატება არის დამოკიდებული ▪ დაინტერესებული მხარეების ტიპები ▪ დაინტერესებული მხარეების ჩართვის პრინციპები	▪ აამაღლოს მონაწილეების ცოდნა პოლიტიკის შემუშავების მხრივ საქართველოს მთავრობაში არსებული მოთხოვნების თაობაზე. ▪ აამაღლოს მონაწილეების ცოდნა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ანალიზისა და მტკიცებულებების როლის შესახებ. ▪ მონაწილეების ცოდნის ამაღლება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ ▪ … და 2019 წლის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. პოლიტიკასა და სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირის გაცნობიერება 2. მტკიცებულებების როლის გაცნობიერება პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. 3. დაინტერესებული მხარეების ჩართვის მნიშვნელობის გააზრება, რაც 2019 წლის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიერ მოითხოვება. 4. პოლიტიკის შემუშავებისა და ეფექტური განხორციელების მხარდასაჭერად შესაბამისი და	3 საათი

	▪ დაინტერესებული მხარეების ჩართვის მეთოდები ▪ ძალაუფლების/ინტერესის ბადე დაინტერესებული მხარეებისთვის ▪ პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ▪ ჯგუფური სავარჯიშო	მხრიდან ასეთი მოთხოვნის არსებობის შესახებ. ▪ მონაწილეთა უნარების განვითარება შესაბამისი და რელევანტური დაინტერესებული მხარეების შერჩევაში.	რელევანტური დაინტერესებული მხარეების შერჩევა.	
მოდული 2	**სიტუაციის ანალიზი** ▪ რას წარმოადგენს პრობლემა, რომელსაც განვიხილავთ? ▪ პრობლემაზე ორიენტირებული პოლიტიკის ანალიზის მოდელი ▪ მედიის მიერ პრობლემის გაშუქების ქეისები ▪ მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, შეფასებისა და მონიტორინგის მოთხოვნები სტრატეგიის სიტუაციური ანალიზის ნაწილისადმი ▪ პრობლემის იდენტიფიცირება ემპირიულად ▪ პრობლემის მასშტაბის და დინამიკის დადგენა ▪ მონაცემთა წყაროები სიტუაციის ანალიზისთვის ▪ „პრობლემის ხის“ ანალიზის მეთოდი ▪ PESTLE ანალიზის მეთოდი ▪ SWOT ანალიზის მეთოდი	▪ მონაწილეთა უნარების განვითარება არსებული სიტუაციის და არსებული პრობლემის ბუნების, მასშტაბისა და გამომწვევი ფაქტორების დადგენის კუთხით ▪ მედიის მიერ პრობლემის გაშუქებასა და მის ემპირიულ ანალიზს შორის განსხვავების დანახვა ▪ მონაწილეების უნარების განვითარება პრობლემის ხის ანალიზის მეთოდის გამოსაყენებლად.	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. არსებული სიტუაციისა და არსებული პრობლემის ხასიათის, მასშტაბისა და დინამიკის განსაზღვრა. 2. მედიის მიერ პრობლემის გაშუქებასა და მის ემპირიულ ანალიზს შორის განსხვავების დადგენა. 3. პრობლემის ხის ანალიზის გამოყენება.	3 საათი

	▪ საქართველოს საექთნო საქმის განვითრების სტრატეგიის ქეისი ▪ „პრობლემის ხის“ ანალიზი: ინკლუზიური განათლების ქეისი ▪ ჯგუფური სავარჯიშო			
მოდული 3	**მტკიცებულების სახეები, მონაცემთა წყაროები და მტკიცებულებების სინთეზი** ▪ რა არის მტკიცებულება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა? ▪ მტკიცებულებების გარდა სხვა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს საჯარო პოლიტიკაზე ▪ მტკიცებულების ტიპები: სამშობიარო სახლების მომსახურების ხარისხის შეფასების ქეისი ▪ რა არის მტკიცებულება? ▪ მტკიცებულების მახასიათებლები ▪ როგორი მტკიცებულებები გამოიყენება პოლიტიკის შემუშავებაში? ▪ აღწერილობითი და შეფასებითი მტკიცებულებები ▪ მოსახლეობის აღწერა, გამოკითხვები, ადმინისტრაციული მონაცემები, თვისებრივი მონაცემები, ექსპერიმენტული და კვაზი ექსპერიმენტული	• მონაწილეების ცოდნის გაუმჯობესება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის თაობაზე. • მონაწილეების ცოდნის გაუმჯობესება მონაცემთა სხვადასხვა ტიპის და წყაროს თაობაზე • მონაწილეების მხრიდან „მტკიცებულებების სინთეზის“ გაგება და იმის გააზრება, თუ როგორ შეუძლია მას წვლილი შეიტანოს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. • კვლევითი მტკიცებულებების სინთეზის არაერთი მეთოდის გაცნობა მონაწილეებისთვის	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. სხვადასხვა შესაბამისი ტიპის მტკიცებულების და მონაცემის უკეთ გამოყენება პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. 2. კვლევითი მტკიცებულებების სინთეზის და მისი საჭიროების გააზრება. 3. სხვადასხვა სახის კვლევის სინთეზის გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.	3 საათი

	მონაცემები, მტკიცებულებების სინთეზი, გლობალური ელექტრონული მონაცემთა ბაზები ▪ სხვადასხვა ტიპის მტკიცებულების ძლიერი და სუსტი მხარეები ▪ ელექტრონულ მონაცემთა ბაზები ▪ რა არის მტკიცებულების სინთეზი? ▪ რატომ გვჭირდება მტკიცებულების სინთეზი ▪ მტკიცებულების სინთეზის სახეები ▪ მტკიცებულებების სინთეზის ბიბლიოთეკები ▪ ჯგუფური სავარჯიშო			
მოდული 4	**ლოგიკური ჩარჩო და ცვლილების თეორიის ანალიზი** • შედეგზე ორიენტირებული მართვის (Results-Based Management) არსი • პოლიტიკის მიზნების, ამოცანების და (ამოცანის) შედეგების დადგენა - ჯანდაცვის მაგალითი • ლოგიკური ჩარჩოს არსი და როლი პოლიტიკის შემუშავებაში • როგორ გარდავქმნათ პრობლემის ხე მიზნებად, ამოცანებად და აქტივობებად - - სოფლად შემოსავლების გაზრდის მაგალითი	• მონაწილეთა უნარების განვითარება პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ნათლად გააზრებისათვის • მონაწილეთა უნარების განვითარება ცვლილების თეორიის და ლოგიკური ჩარჩოს ანალიზის გამოყენებაში	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. პოლიტიკის მიზნების და შედეგების ნათლად გააზრება 2. პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის ცვლილების თეორიის/ლოგიკური ჩარჩოს ანალიზის გამოყენება	3 საათი

	• სექტორული პრიორიტეტიზაცია და პრიორიტეტიზაციის მეთოდი • სტრატეგიის ხედვის ნაწილი • შედეგები და ინდიკატორების შერჩევა - საგზაო უსაფრთხოების და ბავშვთა მიმართ ძალადობის მაგალითები • ლოგიკური ჩარჩოს შაბლონი • მდგრადი განვითარების მიზნები • ცვლილების თეორია ლოგიკური ჩარჩოს ანალიზთან შედარებით • (ამოცანის) შედეგებიდან საჭირო რესურსებამდე • ცვლილების თეორიის ანალიზის დონეები • დაშვებების შემოწმება - ბანგლადეში ქეისი • ცვლილების თეორიის და ლოგიკური ჩარჩოს ანალიზი - უსარგებლო საკვების გადასახადის მაგალით • სახელმძღვანელოს მოთხოვნები პოლიტიკის დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილისადმი • ჯგუფური სავარჯიშო			
მოდული 5	**ინდიკატორების განსაზღვრა** • ძირითადი ინდიკატორების (Key Performance Indicators) როლი შედეგზე ორიენტირებულ მართვაში • ინდიკატორების შერჩევა - გავლენის, ამოცანის შედეგის და აქტივობის შედეგის ინდიკატორების განმარტებები და მაგალითი	• პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრის კუთხით მონაწილეთა უნარების განვითარება.	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შესაბამისი ინდიკატორების დადგენა	3 საათი

	• ინდიკატორის საწყისი, შუალედური, სამიზე ისტორიული მაჩვენებლები და წლები • ინდიკატორების ცხრილი - მაგალითები ჯანდაცვის სფეროდან • ინდიკატორის პასპორტის შემუშავება და შაბლონი • რაოდენობრივი ინდიკატორები • ხარისხობრივი ინდიკატორები • ინდიკატორების შერჩევის ზოგადი პრინციპები • ურთიერთ გადამკვეთი საკითხები (გენდერი, ადამიანის უფლებები, უმცირესობები) ინდიკატორების შერჩევისას • SMART ინდიკატორები • კარგი და ცუდი ინდიკატორების მაგალითები საქართველოს სტრატეგიებიდან • ჯგუფური სავარჯიშო - გოდერძის უღელტეხილის განვითარების პროექტის ქეისი • რა არის საზოგადოებრივი ღირებულება? • აუდიტის სამსახურების საერთაშორისო სტანდარტები • ეფექტურობა, ეფექტიანობა, ეკონომიურობა და თანასწორობა • ჯგუფური სავარჯიშო - მუნიციპალური ავტობუსისთვის ინდიკატორების განსაზღვრა	• მონაწილეთა უნარების განვითარება იმაში, თუ როგორ გამოიყენონ ინდიკატორის პასპორტი •	2. ინდიკატორის პასპორტის შემუშავება და გამოყენება	

მოდული 6	**პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრა** • პოლიტიკის ალტერნატივების განსაზღვრის პრინციპები • რამ იმუშავა სხვაგან? • მუშაობს თუ არა პოლიტიკის არსებული ბერკეტები ? • რეალური პოლიტიკის ალტერნატივების დადგენა • ქეისი: საქართველოს ნარკოპოლიტიკა • მრავალკრიტერიუმიანი შედეგების მატრიცის შედგენა • აუცილებელია თუ არა მთავრობის ჩარევა? • პოლიტიკის ინსტრუმენტების დიაპაზონი • რეგულირების პრინციპები • რეგულაციების კონტინიუმი • რეგულირების ალტერნატივები • რეგულაციების აღსრულების მექანიზმები • მცირე და მიკრო ბიზნესის რეგულირება • პოლიტიკის შემუშავების რეგულაციური და საკანონმდებლო აქტები • ჯგუფური სავარჯიშო	• მონაწილეთა უნარების განვითარება პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავების კუთხით. • პოლიტიკის რეალისტური ალტერნატივების დადგენა.	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. პოლიტიკის მრავალი ალტერნატივის განსაზღვრა 2. ერთი ან მეტი სასურველი ალტერნატივის განსაზღვრა პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის	3 საათი
მოდული 7	**პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პრაქტიკუმი**	• პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის გზით მონაწილეთა პრაქტიკული უნარების განვითარება	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. ჯგუფის მიერ შერჩეულ პრობლემაზე სტრატეგიული	3 საათი

			დოკუმენტის ლოგიკური ჩარჩოს გაწერა 2. მიზნების, ამოცანებისა და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა და ვადებში გაწერა მინიმუმ ერთი მიზნის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანის მისაღწევ ალტერნატიულ გზებს შორის საუკეთესოს იდენტიფიცირება	
მოდული 8	**პოლიტიკის გავლენის (წინასწარი) შეფასება და ეკონომიკური შეფასება** • პოლიტიკის გავლენის წინასწარი შეფასება (impact assessment) vs. პოლიტიკის გავლენის შემდგომი შეფასება (policy evaluation) • გავლენის შეფასების პროცესი ევროკავშირის დონეზე • გავლენის შეფასების სტრუქტურა • რა არის პოლიტიკის გავლენის შეფასება? • რომელი გავლენების შეფასება ხდება • ეკონომიკური და ფისკალური გავლენების შეფასება • სოციალური გავლენების შეფასება • თანასწორობაზე გავლენის შეფასება • გარემოზე ზემოქმედების შეფასება • რეგულაციური გავლენის შეფასება	▪ მონაწილეების მიერ გავლენის შეფასების, როგორც პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების სტრუქტურული ინსტრუმენტის, გაცნობიერება. ▪ ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და რეგულაციური გავლენების გამოკვეთა. ▪ პროპორციულობის პრინციპის გაგება ▪ მონაწილეთა ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური შეფასების მეთოდებზე, რომლებიც პოლიტიკის	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. გაიგონ, თუ როგორ შეიძლება გავლენის შეფასებები იქნეს გამოყენებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. 2. ეკონომიკური, სოციალური, გარემოზე და რეგულაციური გავლენების შეფასებების დაგეგმვა. 3. დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება, თუ რომელი გავლენები უნდა შეფასდეს.	3 საათი

	• მდგრად განვითარებაზე გავლენა • პროპორციულობის პრინციპი • ეკონომიკური შეფასება • ხარჯ-სარგებლის, ხარჯთეფექტურობისა და ხარჯთუტილიტური ანალიზი • ხარჯებისა და სარგებლის შეფასება • ხარჯებისა და სარგებლის მონეტიზაცია • დისკონტირება და სხვა კორექტირება ხარჯებისა და სარგებლისთვის • გადახდის/მიღების მზადყოფნა • რისკისა და სენსიტიურობის ანალიზი • სავარაუდო ხარჯებსა და სარგებელების თაობაზე დაშვებების შემოწმება • წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენა • ძველი ბათუმის ქეისი • საგზაო უსაფრთხოების ქეისი • RIA: წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის ქეისი • ჯგუფური სავარჯიშო	ალტერნატივების ხარჯებისა და სარგებლის დასადგენად გამოიყენება. ▪ მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ეკონომიკურ შეფასებაზე ეკონომისტთან ერთად მუშაობის მნიშვნელობაზე. ▪ ეკონომიკური შეფასების მნიშვნელობის დემონსტრირება ბიუჯეტის დაგეგმვაში.	4. იმ სხვადასხვა მეთოდების გაგება, რომელიც პოლიტიკის ალტერნატივების ხარჯებისა და სარგებლის დასადგენად გამოიყენება. 5. ეკონომიკური შეფასების საკითხზე ეკონომისტთან ერთად მუშაობა. 6. ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურად განხორციელება.	
მოდული 9	**სამოქმედო გეგმის შედგენა** • სამოქმედო გეგმების შემუშავება სახელმძღვანელოს მიხედვით • სამოქმედო გეგმისთვის აქტივობების შერჩევის კრიტერიუმები • სამოქმედო გეგმის მოთხოვნები • სამოქმედო გეგმის შაბლონი	• მონაწილეების ცოდნის დონის ამაღლება იმის თაობაზე, თუ რა მოითხოვება სამოქმედო გეგმაში • სამოქმედო გეგმისთვის აქტივობების შერჩევის	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც 2019 წლის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და	3 საათი

	• განხორციელების გეგმის შემუშავების მნიშვნელობა • განხორციელების გეგმის შემუშავება • ვის ეყრდნობით მიწოდებისას? • მიწოდებაზე პასუხისმგებლობის დონეები • პოლიტიკის განხორციელება • კოორდინაციის მექანიზმები • პასუხისმგებელი უწყება • სამდივნო • განხორციელებისას არსებული მოთხოვნები • მიწოდების ადმინისტრაციული ასპექტები • წარმატების კრიტიკული ფაქტორები • ჯგუფური სავარჯიშო	კრიტერიუმების მიმოხილვა • მონაწილეთა ცოდნის და უნარის განვითარება განხორციელებისა და მიწოდების გეგმის შემუშავებაში.	შეფასების სახელმძღვანელოს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. 2. განხორციელების და მიწოდების გეგმის შემუშავება	
მოდული 10	**ბიუჯეტის დაგეგმვა** • პოლიტიკის დაგეგმვასა და ბიუჯეტირების პროცესს შორის ურთიერთკავშირი • პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპები • სახელმძღვანელოს მოთხოვნები • ხარჯთაღრიცხვა • ხარჯების ტიპები • ხარჯთაღრიცხვის ინსტრუმენტი • დაფინანსების წყაროს იდენტიფიცირება • ბიუჯეტის შედგენის მოთხოვნები • ჯგუფური სავარჯიშო	▪ ბიუჯეტის დაგეგმვისა და 2019 წლის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისი მოთხოვნების თაობაზე მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება.	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: • ბიუჯეტის დაგეგმვის განხორციელება ისე, რომ 2019 წლის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მოთხოვნები დაკმაყოფილდეს..	3 საათი

მოდული 11	**მონიტორინგი და მონაცემთა მართვა** • რა არის მონიტორინგი? • მარმოტის ინდიკატორების ჩარჩო და მონიტორინგი • სხვაობა მონიტორინგსა და შეფასებას შორის • სახელმძღვანელოს მოთხოვნები მონიტორინგისადმი • სამდივნო და პასუხისმგებელი უწყებები • მონიტორინგის ანგარიშების ტიპები • პროგრეს ანგარიში • წლიური ანგარიში • წლიური ანგარიშის სტრუქტურა • ანგარიშების მომზადების პრინციპები • მონაცემთა მართვა - მონიტორინგის და შეფასების მონაცემები • Excel-ის მონაცემთა ფაილის შემუშავება • Excel-ის გამოყენება მონაცემთა გრაფიკისთვის: ჯანდაცვის მაგალითი • მონაცემთა გადატანა და ანალიზი • ჯგუფური სავარჯიშო	▪ მონაწილეთა ცოდნის გაუმჯობესება მონიტორინგზე ▪ მონაწილეთა უნარების განვითარება და გაუმჯობესება მონაცემთა მართვის შესახებ	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. მონოტორინგის ჩატარება და მონიტორინგის ანგარიშების მომზადება 2. მონიტორინგსა და შეფასებას შორის განსხვავების გაცნობიერება. 3. მონაცემების უფრო ეფექტურად და რაციონალურად მართვა	3 საათი
მოდული 12	**პოლიტიკის შეფასება** ▪ რა არის შეფასება? ▪ შეფასების ტიპები ჩატარების მეთოდის და პერიოდულობის მიხედვით ▪ სახელმძღვანელოს მოთხოვნები შეფასებისადმი	▪ მონაწილეების ცნობიერების ამაღლება პოლიტიკის შეფასების მნიშვნელობაზე, კითხვებსა და კრიტერიუმებზე	ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლებათ: 1. შეფასების მნიშვნელობის,	3 საათი

	▪ შეფასების მასშტაბის და საკითხების დადგენა ▪ შეფასების კრიტერიუმები (OECD-ის მიხედვით) ▪ შეფასების კითხები (SIGMA-ის სტანდარტები) ▪ შეფასების ანგარიშის სტრუქტურა ▪ გავლენის სხვადასხვა მნიშვნელობა ▪ სხვაობა შეფასებასა და მონიტორინგს შორის ▪ შეფასების ორი ძირითადი ტიპი: გავლენის (შემაჯამებელი) შეფასება და პროცესის (მაფორმირებელი) შეფასება ▪ შეფასების ტიპების კონტინიუმი ▪ შეფასების კითხვების, შეფასების შესაბამისი ტიპებისა და მეთოდების ცხრილი ▪ პოლიტიკის შემდგომი (post-hoc) შეფასება ▪ ქეისი: მონიტორინგის, შეფასებისა და მონაცემთა მართვის გამოყენება განათლების სფეროში წარუმატებლობის შესწავლისა და მართვისთვის ▪ გავლენის შეფასების განმარტება ▪ გავლენის სხვადასხვა მნიშვნელობა ▪ ყველაზე ეფექტური ალტერნატივის დადგენა	▪ მონაწილეების ცოდნის გაუმჯობესება კონტრ-ფაქტორული გავლენის ანალიზის თაობაზე. ▪ ექსპერიმენტული და კვაზი ექსპერიმენტული მეთოდების მიმოხილვა პოლიტიკის სუფთა გავლენის დასადგენად, სხვა რამის კეთებასთან შედარებით	კითხვებისა და კრიტერიუმების ცოდნა. 2. უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად კონტრფაქტორულ ანალიზზე დაფუძნებული მტკიცებულებების გამოყენება. 3. ექსპერიმენტული და კვაზი ექსპერიმენტული მტკიცებულებების გამოყენება პოლიტიკის სუფთა გავლენის დასადგენად.	

	კონტრ-ფაქტორული ანალიზის გზით ▪ კონტრფაქტორის მნიშვნელობა ▪ პოლიტიკის ალტერნატივების „სუფთა გავლენის“ დადგენის მეთოდები ▪ ექსპერიმენტული, კვაზი ექსპერიმენტული და არაექსპერიმენტული შეფასების მეთოდები - მაგალითები საგზაო უსაფრთხოების, განათლების და დასაქმების ხელშეწყობის სფეროებიდან ▪ ქეისი: სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის შეფასება ▪ ჯგუფური სავარჯიშო			
	დასკვნითი გამოცდა	20 კითხვა განვლილი მოდულებიდან, რამდენიმე სავარაუდო პასუხით		2 საათი

დანართი 2 - კურსის განრიგი

	ტრენინგის თარიღი და დრო			
	მესამე ჯგუფი ტრენერი - ნანი მაჭარაშვილი		მეოთხე ჯგუფი ტრენერი - ნოდარ ტანგიაშვილი	
მოდული 1	11.02.20	09:30-12:30	11.02.20	16:00-19:00
მოდული 2	13.02.20	09:30-12:30	13.02.20	16:00-19:00
მოდული 3	18.02.20	09:30-12:30	18.02.20	16:00-19:00
მოდული 4	20.02.20	09:30-12:30	20.02.20	16:00-19:00
მოდული 5	25.02.20	09:30-12:30	25.02.20	16:00-19:00
მოდული 6	27.02.20	09:30-12:30	27.02.20	16:00-19:00
მოდული 7	05.03.20	09:30-12:30	05.03.20	16:00-19:00
მოდული 8	10.03.20	09:30-12:30	10.03.20	16:00-19:00
მოდული 9	12.03.20	09:30-12:30	12.03.20	16:00-19:00
მოდული 10	17.03.20	09:30-12:30	17.03.20	16:00-19:00
მოდული 11	19.03.20	09:30-12:30	19.03.20	16:00-19:00
მოდული 12	24.03.20	09:30-12:30	24.03.20	16:00-19:00
საბოლოო ტესტი	**26/03/2020***		**16:00-18:00**	

*ტესტი ორივე ჯგუფისთვის ჩატარდება ერთად